პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--- აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთისთვის ეროვნული მოძრაობის მონაწილის, უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ეროვნული მოძრაობის მონაწილის, უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:483061 Y:4620285
მარიკა ბაღდავაძის ქ.
X:482946 Y:4620228

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: ივანდილ ანანიძე
მცხ: ქ. თბილისი გაბაჭვილის ქ. 5.
ტელ: 599-58.15.11.
პ.ნ: 01008038422.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, საჯაროდ ფოლადიანული ოჯახის წინააღმდეგ ფრძოლაში, იგივეობა ადამიანის ყველაზეს ლეგვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისაგან, მაღლიან (მაღლივ) ბაღდადეაძის სახელის პატივის მიგების მიზნით, ფრილოსის ლიმელიმ ქუჩას ან სკვერს მიენიჭოს მისი სახელი.

12.02.2024.

ა. ანანიძ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0324088110**
თარიღი: **28/03/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ავთანდილ ანთიძის 2024 წლის 12 თებერვლის საქმე #19/032404322-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მარიამ (მარიკა) ბაღდავაძის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ნაძალადევის რაიონში, ლეჩხუმის ქუჩის მონაკვეთის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში მარიკა ბაღდავაძის ქუჩა) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240961692**
თარიღი: **05/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 28.03.2024 წლის # 03-0324088110 (29.03.2024 წ. #14-01240882777-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მარიკა ბაღდავაძე

(1963-2020)

სამოქალაქო უფლებების დამცველი, საბჭოთა კომუნისტური სისტემისგან ერისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მრავალგზის დევნილი, გამორჩეული ქართველი დისიდენტი

იგი 1978 წლის 14 აპრილიდან იყო ჩართული ქართულ დისიდენტურ მოძრაობაში და თანამებრძოლებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში, იგი იყო არაერთი გახმაურებული აქციის ორგანიზატორი და თანამონაწილე, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის ყველაზე გარდამტეხის – 1981 წლის მცხეთის აქცია, 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, 1988 წლის ნოემბრის შიმშილობა, 1989 წლის 9 აპრილი და სხვ. რის გამოც ორჯერ იყო გასამართლებული საბჭოთა რეჟიმის მიერ. საპატიმროებშიც განსაკუთრებული შევიწროვების პირობებში უწევდა ყოფნა. მარიკა ბაღდავაძე გამოირჩეოდა უდიდესი პრინციპულობით და შეუვალობით, მან უარი თქვა თანამდებობაზე და პოლიტიკურ კარიერაზე დამოუკიდებელ საქართველოშიც და დარჩა როგორც ადამიანის უფლებების დამცველი. შეუფასებელია მისი როლი ომბუდსმენის ინსტიტუტის დაფუძნებასა და განვითარებაში. ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი, ცნობილი დისიდენტი, "სახალხო პარტიის" მთავარი კომიტეტის წევრი, 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული სახე და ლიდერი.

გარდაიცვალა 2020 წელს, დაკრძალულია მახათას მთის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.